სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბრძანება

10 07 2020 წ. №100 ქ. თბილისი

ანიმაციური ფილმის 2020 წელს პროექტის განვითარების
დაფინანსების კონკურსის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/257 ბრძანებით დამტკიცებული „კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების" პირველი მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.2020 წლის 10 ივლისს გამოცხადდეს კონკურსი ანიმაციური ფილმის 2020 წელს პროექტის განვითარების დაფინანსების მიზნით წინამდებარე ბრძანების დანართ 1-ში აღწერილი პირობებით.

2.დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) აი-ტი სპეციალისტს თორნიკე ბარდაველიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

3.ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე